

„აცხოვნე უფალო ერი შენი და აკურთხე სამკვიდრებელი შენი, ძლევაჲ ჯვართა ბარბაროსთა ზედა ღვთივ დაცულსა ერსა ჩვენსა მონიჭე და საფარველსა ქუეშე მისსა დაიცეფ, რაფთა ვიტყოდეთ, უფალო, დიდება შენდა“ – ამ გალობით შესვდა 8 მართლმადიდებელი განსასჯელი მათ მიმართ გამოტანილ უსამართლო და ცილისმწამებლურ განაჩენს, რომელიც მას გამოუტნა თბილისის საქალაქო სასამართლომ, მოსამართლე მილერ ხარებავამ, სახელმწიფო ბრალდების, პროკურორების გიორგი მიქაიასა და დავით ხიზანაიძის მოთხოვნით. მოსამართლე ხარებავას პილატესთან შედარება დიდი პატივი იქნებოდა ბატონი მილერისთვის, რადგან პილატეს იმის „კაცობა“ მაინც ეყო, რომ ეთქვა, – მე ვერაფერი ბრალი ვპოვე მასშიო. ეს სამეული გვაგონებს გასული სუკუნის 20-30-ანი წლების ტროიკებს, და წარმოადგენს ნეობოლშევიკურ ტროიკას. ასეთი ტროიკებით ცდილობს ხელისუფლება თავისი დიქტატურის დამყარებას ქვეყანაში და მართლმადიდებლების დასჯასა და დაშინებას. ამ ტოიკაში განსაკუთრებული უსულგულობითა და ცინიზმით გამოირჩეოდა დოქსოპულო-პროკურორი დავით ხიზანაიძე, რომელსაც, როგორც გავიგეთ, რთული ბავშვობა ჰქონდა და, როგორც ჩანს, უსიყვარულობით გაბოროტებულია ყველასა და ყველაფერზე. იგი იმიტომ კი არ გმოვყავით, რომ მეტი ზიზღი მივმართოთ მისკენ, არამედ იმისთვის, რომ სწორედ მისთვის ვილოცოთ მომეტებულად, რათა ღმერთმა გაუხსნას გული და გონება.

დიდად დაგვწყვიტა გული იმ 23 პოლიციელის ჩვენებამ, რომლებმაც უმართებულოდ დაადეს უდანაშაულო ბიჭებს ხელი და ეს იქცა სწორედ ამ ბიჭების დასჯის ერთადერთ საბაბად, ვინაიდან დაზარალებულები და სხვა არაპოლიციელი მოწმეები ცალსახად აღნიშნავენ, რომ განსასჯელები იმ დანაშაულში, რაც მათ ჰქონდათ წაყენებული, უდანაშაულონი არიანო. ეს პოლიციელები ჩვეულებრივი ქართველი კაცები არიან და მე მიკვირს, როგორ უნდა შესვან საქართველოს, ჩვენი ეკლესიის, ჩვენი სალოცავების, ჩვენი სიწმინდეების, ჩვენი წინაპრებისა და ოჯახის-შვილობის სადღეგრძელო, როდესაც სწორედ მათი უპასუხისმგებლო და ბრმა მორჩილებით მიცემულმა ჩვენებამ განაპირობა იმ 8 უდანაშაულო მართლმადიდებელი ქართველისა და მამულიშვილის ბედი, რომლებიც სწორწედ ამ სიწმინდეების დაცვისათვის დასაჯეს.

საგაგნებოდ უნდა აღვნიშნოთ ე.წ. ლიბერალების, სინამდვილეში კი ღმრთისმბრძოლებისა და ქართველთმოძულეების შესახებ, მათ შორის სახალხო დამცველისა და მისი მოადგილის, ბექა მინდიაშვილის შესახებ, – ეს უკანასკნელი მოწმის სტატუსით მონაწილეობდა სასამართლო პროცესში, ასევე სხვების, რომელთა სახელები მობეზრდა ქართველ ერს. ნაშობნო იქედნეთანო, სად არის თქვენი ტოლერანტობა, უფლებადამცველობა, თქვენ ხომ იცით, რომ ეს ბიჭები იმ დანაშაულში უბრალონი არიან, რაც მათ წაუყენეს, ამით ხომ დაირღვა მათი უფლებები, რატომ არ იმაღლებთ ხმას ამ აღვირახსნილი უსამართლობის წინააღმდეგ? საქმეც ის, არის, რომ თქვენ სახალხო დამცველები კი არა, სახალხო დამნაშავეები ხართ სწორედ ქართველი ხალხის წინაშე, უმრავლესობის

უფლებების ხელმოწერები და სტანიზმისა და გარყვნილების მიმდევართა აპოლოგეტები.

თქვენ, ერთი მუჭა ღმრთისმგმობნი და ქართველთმოძულენი, თქვენი დემოკრატიის მასხარა დასავლელი მამების ხელდასხმითა და უფლებით ცდილობთ გადააგვართ საქართველო, ჩამოაშოროთ იგი ღმერთს და მისდრიკოთ ეშმაკისაკენ, თქვენთვის არაფერია წმიდა, არს ღმერთი, არც ღმრთისმშობელი, არც ხატი, არც დედა და არც და, რომლებზედაც მრუშული მზერა გიჭირავთ და ბილწი სურვილები გამოძრავებთ, თქვენ ხართ ის შავი ჭირი, რომელიც დღეს საქართველოს ჭირს და მალე მოგიშორებთ, როგორც არა ერთხელ მოუშორებია. ამის იმედს გვაძლევს ის სულისკვეთება და ის შემართება, რომელიც იმ 8 განსასჯელმა გამოავლინა მათთვის დიდი განსაცდელის უამს, როდესაც ისმენდნენ უსამართლო განაჩენს, – ისინი ღმრთის დიდებით, მადლობითა და გალობით შეხვდნენ ამ ცილისწამებას: „აცხოვნე უფალო ერი შენი და აკურთხე სამკვიდრებელი შენი, ძლევაჲ ჯვართა ბარბაროსთა ზედა ღვთივ დაცულსა ერსა ჩვენსა მონიჭე და საფარველსა ქუეშე მისსა დაიცევ, რაჲთა ვიტყოდეთ, უფალო, დიდება შენდა“